ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის

განვითარების სტრატეგია

მუხლი 1. „ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის" ძირითადი მიზანი:

1. „ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის" (შემდგომში „სტრატეგია") მიზანია, მხარი დაუჭიროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევებისა და სირთულეების დაძლევას და ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას. ის განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ხედვას, საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, სერვისების, პროგრამებისა და ღონისძიებების დაგეგმვასა და მიწოდებას და შედეგებს, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნას მომდევნო 3 წლის განმავლობაში.

2. „ახალგაზრდობა არის საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვს. ამ პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის აუცილებელია, სახელმწიფომ შექმნას სათანადო პირობები, მყისიერად უპასუხოს ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს, განახორციელოს თანამიმდევრული, საჯარო და ინტეგრირებული სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად. აღნიშნული პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და გარემოს დაცვის პრინციპებს. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდები, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, აქტიურად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რათა წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში."[1]

3. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, როგორც ახალგაზრდებთან ყველაზე დაახლოებულ ინსტიტუტებს, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ახალგაზრდულ პოლიტიკაში. ის ახალგაზრდები, რომლებიც ცხოვრობენ მუნიციპალიტეტებში, უმეტესწილად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთქმედებენ. არსებობს ბევრი ისეთი სერვისიც, რომლის კონტროლს ან განხორციელებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ. სტრატეგია ემსახურება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახალგაზრდული საქმიანობის წარმატებით განხორციელებას და ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტურად მართვას.

მუხლი 2. ზოგადი ინფორმაცია

1. თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში და იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს. ის საქართველოს სიდიდით მესამე ქალაქია.
2. ქალაქი დაყოფილია 12 ადმინისტრაციულ ერთეულად:

   ა. ავტოქარხნის ადმინისტრაციული ერთეული;

   ბ.გამარჯვების ადმინისტრაციული ერთეული;

   გ. უქიმერიონის ადმინისტრაციული ერთეული;

   დ. ქალაქ-მუზეუმის ადმინისტრაციული ერთეული;

   ე. საფიჩხიის ადმინისტრაციული ერთეული;

   ვ. კახიანოურის ადმინისტრაციული ერთეული;

   ზ. ძელქვიანის ადმინისტრაციული ერთეული;

   თ. ნიკეას ადმინისტრაციული ერთეული;

   ი. ვაკისუბნის ადმინისტრაციული ერთეული;

   კ. სულხან-საბას ადმინისტრაციული ერთეული;

   ლ. მუხნარის ადმინისტრაციული ერთეული;

   მ.გუმათის ადმინისტრაციული ერთეული.

3. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების[2] მიხედვით ქალაქ ქუთაისში 15-29 წლის 31 037 ახალგაზრდა ცხოვრობს, მათ შორის:

15-29 წლის ახალგაზრდები	**31 037**
15-19 წლის ახალგაზრდები	8 787
20-24 წლის ახალგაზრდები	10 564
25-29 წლის ახალგაზრდები	11 686

4. ახალგაზრდების უმრავლესობა მდედრობითი სქესის წარმომადგენელია და ისინი ახალგაზრდების 51.59%-ს შეადგენენ:

ასაკი	მამაკაცი	ქალი
15-29	**15 025**	**16 012**
15-19	4 469	4 318
20-24	4 989	5 575
25-29	5 567	6 119

მუხლი 3. სტრატეგიის პრინციპები

1. ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისთვის და სტრატეგიაში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის აუცილებელია შემდეგი პრინციპების გათვალისწინება:

ა. ახალგაზრდების მონაწილეობა: ახალგაზრდებს აქვთ უფლება, მიიღონ მონაწილეობა იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მათ ეხება. შეუძლებელია პოზიტიური ცვლილებების მიღწევა მათ გარეშე, ვისაც ეს ცვლილებები ეხება. სტრატეგიის ხედვა, მიზნები, ამოცანები და სამოქმედო გეგმა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობით შემუშავდა, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო მათი იდეებისა და უკუკავშირის გათვალისწინება დოკუმენტში. ახალგაზრდების ეფექტიანი მონაწილეობა გარანტირებული იქნება სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესებშიც;

ბ. ახალგაზრდებისადმი კეთილგანწყობა: სტრატეგიის განხორციელებისას მხედველობაში იქნება მიღებული ის ფაქტი, რომ ახალგაზრდები როგორც განვითარების, ისე კულტურის თვალსაზრისით, განსხვავდებიან ერთმანეთისგან და საზოგადოების სხვა ჯგუფებისაგან და მათთან ურთიერთობა უნდა დამყარდეს მათი ასაკის, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით;

გ. პარტნიორობა და თანამშრომლობა: სტრატეგია შემუშავდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობისა და კონსულტაციების შედეგად. მათი აქტიური მონაწილეობა მხარდაჭერილი იქნება მისი განხორციელების შემდგომ ეტაპებშიც, ვინაიდან ახალგაზრდობის წინაშე არსებულ ბევრ გამოწვევათა და პრობლემათა დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ძალისხმევით. სფეროში მოქმედი ყველა აქტორის ჩართულობა, მათ შორის თანამშრომლობის განვითარება და საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა, ახალი კავშირების და პარტნიორობების დამყარება სტრატეგიის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპია;

დ. მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა: სტრატეგიასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს მკტიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით. ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკა ექვემდებარება შემუშავებას, განხორციელებას, შეფასებასა და გადასინჯვას მაღალხარისხიანი კვლევითი სამუშაოების შედეგების საფუძველზე და იმ ახალგაზრდების შეხედულებებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს პოლიტიკა;

ე. თანაბარი ხელმისაწვდომობა: სტრატეგია უზრუნველყოფს, რომ ყველა ახალგაზრდა თანაბრად სარგებლობდეს იმ შესაძლებლობებით და სიკეთეებით, რაც უკვე არსებობს ან მომავალში შეიქმნება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა

დაეთმოს ახალგაზრდების არაორგანიზებული ჯგუფებისა და სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერასა და მონაწილეობას;

ე. გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება: სტრატეგიისა და ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები ხელს უნდა უწყობდეს გრძელვადიანი და მდგრადი შედეგების მიღწევას, რაც გამოიხატება სხვადასხვა სისტემების, პლატფორმების, სინერგიების და სერვისების შექმნაში.

მუხლი 4. სტრატეგიის შემუშავების პროცესი

1. სტრატეგია მომზადდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს შორის გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე (იხ. დანართი 1) და მათი პარტნიორობის შედეგად, რომელიც შემდეგ გაფართოვდა და მოიცვა ახალგაზრდები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარები.

2. სტრატეგიის შექმნის პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

ა. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და პარტნიორობის დამყარება;

ბ. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის და იმ არსებული სამთავრობო სტრატეგიებისა და პროგრამების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდებთან;

გ. ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამების, რესურსებისა და სერვისების შესწავლა და სიტუაციური ანალიზი;

დ. ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება;

ე. ახალგაზრდობის კვლევა ქუთაისის მუნიციპალიტეტში, რომელიც ჩატარდა ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და რომლის ფოკუსს წარმოადგენდა: ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება; ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა და ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობების გამოვლენა;

ვ. ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჩატარებული სხვადასხვა კვლევების ანალიზი;

ზ. სექტორთაშორისი საკოორდინაციო საბჭოს შექმნა;

თ. სამუშაო შეხვედრები მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან (EDEC, RICDOG, იგც, ახალგაზრდული ჰორიზონტი, LDA, ა/ო უფლებების და განათლებისთვის, „ნათელი მომავალი“),

საინიციატივო ჯგუფებთან, ახალგაზრდებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან სტრატეგიის პროექტის მომზადებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირების მიზნით;

ი. სტრატეგიის პროექტის საჯარო განხილვები და დისკუსიები დოკუმენტის სრულყოფის მიზნით.

3. სტრატეგია ეფუძნება „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას“ მუნიციპალიტეტში არსებული სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ახალგაზრდობის სააგენტოსა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებულ კვლევას და უკვე არსებული მეორადი მონაცემების ანალიზს, ახალგაზრდებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად შეგროვებულ ინფორმაციასა და იდეებს.

4. სტრატეგიის შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო ე.წ. „ლოგიკური ჩარჩოს მიდგომა“, რაც ითვალისწინებდა არსებული სიტუაციის ანალიზს და გამოწვევებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას, ხოლო მათ საფუძველზე შესაბამისი მიზნების და ამოცანების განსაზღვრას და პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბებას.

5. სტრატეგია მოიცავს ხედვას, თუ როგორი უნდა იყოს ან შესაძლებელია, რომ იყოს ახალგაზრდობის მდგომარეობა მუნიციპალიტეტში; მიზნებს, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ ხედვის განხორციელებას; თითოეული მიზნისთვის სტრატეგიაში გაწერილია ამოცანები და კონკრეტული ღონისძიებები - თითოეული ამოცანის მისაღწევად, რომლებიც შეადგენენ სამოქმედო გეგმას.

მუხლი 5. სტრატეგიის ხედვა

სტრატეგიის ხედვა ითვალისწინებს ისეთი ეკოსისტემის ჩამოყალიბების მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ადამიანური და სოციალური კაპიტალის განვითარებას და სადაც ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ აქტიური მოქალაქეები და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.

მუხლი 6. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

1. სამოქალაქო ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა

ა. ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

ბ. ახალგაზრდებში სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და თანამონაწილეობის ფორმების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

გ. მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა;

დ. ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერა და გაძლიერება;

ე. ახალგაზრდებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის ღია და ეფექტური კომუნიკაციის განვითარება.

2. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება

ა. ახალგაზრდული სივრცეების შექმნა;

ბ. ახალგაზრდული ინიციატივებისა და იდეების მხარდაჭერა;

გ. უსაფრთხო და ინკლუზიური ახალგაზრდული პროგრამების მხარდაჭერა, რომლებიც არაფორმალური განათლების საშუალებით ხორციელდება და ხელს უწყობენ ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას

დ. ახალგაზრდების საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა;

ე. ახალგაზრდებისათვის გართობის, დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობების შექმნა.

ვ. ახალგაზრდული მუშაკების საქმიანობის მხარდაჭერა

3. ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მხარდაჭერა

ა. ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობა;

ბ. ახალგაზრდების სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

გ. ახალგაზრდების ფიზიკური/ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისა და ემოციური კეთილდღეობის გაუმჯობესების მხარდაჭერა;

4. ახალგაზრდებისთვის არაძალადობრივი, უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა

ა. სამოქალაქო ცხოვრებაში უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა;

ბ. გენდერული თანასწორობის შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;

გ. სამოქალაქო ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა.

5. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისა და დასაქმების ხელშეწყობა

ა. ახალგაზრდების ინფორმირების ხელშეწყობა დასაქმების შესაძლებლობების შესახებ;

ბ. ახალგაზრდების ინფომირების ხელშეწყობა განათლების პროგრამების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ დასაქმებასა და დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მხარდაჭერა;

გ. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის პროგრამების განვითარების მხარდაჭერა.

დ. ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა გადამზადებისა და სტაჟირების გზით

6. ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სისტემის გაუმჯობესება

ა. სპეციალიზირებული პლატფორმის (ჯგუფის) შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სტრატეგიის აღსრულებისა და განხორციელების მონიტორინგზე.

ბ. მტკიცებულებებზე დაფუძნებული მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის წარმოება;

გ. ახალგაზრდული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

მუხლი 7. ლოგიკური ჩარჩო

1. სამოქალაქო ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა

მიზანი/ამოცანა	ვადა	შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	საბოლოო მაჩვენებელი

მიზანი 1. სამოქალაქო ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა	2024	ა) ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ახალგაზრდობის ინტერესები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დღის წესრიგში (სრულად გათვალისწინებულია ან გათვალისწინებულია)	70%	75%
	2024	ბ) ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც არ სურთ მუნიციპალიტეტიდან წასვლა	55.1%	60%
ამოცანა 1.1. ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში	2024	ა) ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც გასული 12 თვის განმავლობაში ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტში მათთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში	6,2%	15%
	2024	ბ) ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც მათი მონაწილეობის ხარისხს მაღალ შეფასებას აძლევენ (აქტიურად იყვნენ ჩართული ან გავლენას ახდენდნენ გადაწყვეტილების მიღებაზე)	47,5%	20%
ამოცანა 1.2. ახალგაზრდებში სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და თანამონაწილეობის ფორმების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა	2024	ა) 18-29 წლამდე ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ბოლო არჩევნებში	81.9%	85%
	2024	ბ) ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც მაღალ შეფასებას აძლევენ მათ სამოქალაქო აქტიურობას (ძალიან აქტიური ან	36.7%	50%

		აქტიური)		
ამოცანა 1.3. მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა	2024	ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ	33.3%	50%
ამოცანა 1.4. ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერა და გაძლიერება	2024	დანერგილია მუდმივმოქმედი, კონკურენტული და თანაბრად ხელმისაწვდომი მექანიზმი, რომელიც მხარს უჭერს ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებს ისეთი საქმიანობის განხორციელებაში, რომელიც შესაბამისობაშია და ხელს უწყობს სტრატეგიის მიზნების მიღწევას		
ამოცანა 1.5. ახალგაზრდებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის ღია და ეფექტური კომუნიკაციის განვითარება	2024	ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც იმ საჯარო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს შორის, რომლებსაც ენდობიან, ასახელებენ ადგილობრივ მთავრობას და საკრებულოს	12.7%	20%

2. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება

მიზანი/ამოცანა	**ვადა**	**შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი**	**საბაზისო მაჩვენებელი**	**საბოლოო მაჩვენებელი**
მიზანი 2. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება	2024	ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც ჩართულია არიან ახალგაზრდულ საქმიანობაში	უცნობია	
ამოცანა 2.1. ახალგაზრდული	2024	ა) ახალაგზრდების პროცენტული რაოდენობა,	21.5%	35%

სივრცეების შექმნა		რომელთაც იციან, რომ მუნიციპალიტეტში ფიზიკური სივრცე (ოთახი, შენობა), რომელიც გამოყოფილია ახალგაზრდებისათვის		
	2024	ბ) ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს ახალგაზრდული სივრცით (რეგულარულად ან რამდენჯერმე)	68.4%	80%
ამოცანა 2.2. ახალგაზრდული ინიციატივებისა და იდეების მხარდაჭერა	2024	ა) ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც მიუმართავთ მუნიციპალიტეტისთვის რაიმე სახის ინიციატივის /პროექტის განსახორციელებლად	19.8%	30%
	2024	ბ) ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც კმაყოფილი არიან მუნიციპალიტეტის დახმარებით (ძალიან კმაყოფილი ან კმაყოფილი)	61.4%	70%
ამოცანა 2.3. უსაფრთხო და ინკლუზიური ახალგაზრდული პროგრამების მხარდაჭერა, რომლებიც არაფორმალური განათლების საშუალებით ხორციელდება და ხელს უწყობენ ახალგაზრდებში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას	2024	ა) ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში (რეგულარულად ან რამდენჯერმე)	8.2% 34.2%	50%
	2024	ბ) ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც მაღალ შეფასებას აძლევენამ აქტივობების ხარისხს (ძალიან დადებითად ან დადებითად)	73.5%	
ამოცანა 2.4. ახალგაზრდების საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა	2024	ა) ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც კმაყოფილი არიან მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების	20.6%	40%

		შესაძლებლობით (კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილი)		
ამოცანა 2.5. ახალგაზრდებისათვის გართობის, დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობების შექმნა	2024	ბ) ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც კმაყოფილი არიან მუნიციპალიტეტში არსებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით (კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილი)	25.2%	40%
ამოცანა 2.6, ახალგაზრდული მუშაკების საქმიანობის მხარდაჭერა		ქალაქში არსებული სერთიფიცირებული ახალგაზრდული მუშაკების რაოდენობა	4	10

3. ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მხარდაჭერა

მიზანი/ამოცანა	**ვადა**	**შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი**	**საბაზისო მაჩვენებელი**	**საბოლოო მაჩვენებელი**
ამოცანა 3.1. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობა	2024	ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც რეგულარულად ვარჯიშობენ, დაკავებული არიან სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობებით (თითქმის ყოველდღე ან კვირაში 2-3-ჯერ)	56.7%	60%
ამოცანა 3.2. ახალგაზრდების სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა გაზრდა	2024	ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც გასული 12 თვის განმავლობაში ჰქონდათ შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს (ბევრჯერ, რამდენჯერმე	24.2%	30%

		ან ერთხელ)		
ამოცანა 3.3. ახალგაზრდების ფიზიკური/ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისა და ემოციური კეთილდღეობის გაუმჯობესების მხარდაჭერა	2024	ა) ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც გასული 12 თვის განმავლობაში ჰქონდათ შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს ფსიქოლოგს/ ფსიქოთერაპევტს (ბევრჯერ, რამდენჯერმე ან ერთხელ)	16.9%	20%
	2024	ბ) მოზარდთა შობადობის მაჩვენებელი	77	50
	2024	გ) ადრეული ქორწინების შემთხვევები	104	70

4. ახალგაზრდებისთვის არაძალადობრივი, უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა

მიზანი/ამოცანა	**ვადა**	**შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი**	**საბაზისო მაჩვენებელი**	**საბოლოო მაჩვენებელი**
ამოცანა 4.1. სამოქალაქო ცხოვრებაში უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა	2024	ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც უმცირესობათა უფლებების დაცვას პრობლემურად ან ძალიან პრობლემად აფასებენ	57.6%	60%
	2024	ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც მუნიციპალიტეტიდან წასვლის სურვილის მთავარ მიზეზად ჩაგვრას და დისკრიმინაციას ასახელებენ	6%	4%
ამოცანა 4.2. გენდერული თანასწორობის შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების	2024	ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც კაცებსა და ქალებს შორის	66.6%	50%

ხელშეწყობა		თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფას ძალიან პრობლემურად ან პრობლემურად აფასებენ		
ამოცანა 4.3.სამოქალაქო ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა	2024	ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც ადაპტირებულ გარემოს ძალიან პრობლემურად ან პრობლემურად აფასებენ	71.2%	40%

5. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისა და დასაქმების ხელშეწყობა

მიზანი/ამოცანა	**ვადა**	**შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი**	**საბაზისო მაჩვენებელი**	**საბოლოო მაჩვენებელი**
მიზანი 5. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისა და დასაქმების ხელშეწყობა		ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც არ არიან დასაქმებული, მაგრამ ეძებენ სამუშაოს	33.9%	**20%**
ამოცანა 5.1. ახალგაზრდების ინფორმირების ხელშეწყობა დასაქმების შესაძლებლობების შესახებ	2024	ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც დასაქმებას ძალიან პრობლემურად ან პრობლემურად აფასებენ	63.8%	40%
ამოცანა 5.2. ახალგაზრდების ინფომირების ხელშეწყობა განათლების პროგრამების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობენ დასაქმებასა და დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მხარდაჭერა	2024	ხანგრძლივი დროით (1 წელი და მეტი) უმუშევრების პროცენტული წილი იმ ახალგაზრდებში, რომლებიც არ არიან დასაქმებული, მაგრამ ეძებენ სამუშაოს	17.4%	15%
ამოცანა 5.3. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის პროგრამების	2024	ა)ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც თვლიან, რომ ჩვეულებრივი	82.7%	50%

განვითარების მხარდაჭერა		ახალგაზრდისთვის დასაქმება მუნიციპალიტეტში რთულია (ძალიან რთული ან რთული)		
ამოცანა 5.4.ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა გადამზადებისა და სტაჟირების გზით		ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც ფინანსურ დამოუკიდებლობას ძალიან პრობლემურად ან პრობლემურად აფასებენ	63%	50%

6. ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის სისტემის გაუმჯობესება

მიზანი/ამოცანა	ვადა	შესრულების მაჩვენებელი / ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	საბოლოო მაჩვენებელი
6.1. სპეციალიზირებული პლატფორმის (ჯგუფის) შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სტრატეგიის აღსრულებისა და განხორციელების მონიტორინგზე.	2024	შექმნილია და ფუნქციონირებს არასამთავრობო ახალგაზრდულ სექტორთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგის მუდმივმოქმედი პლატფორმა	არ არსებობს	ფუნქციონირებს და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მაღალი შეფასება აქვს მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ახალგაზრდული სექტორის სულ მცირე 2/3-ის მხრიდან
6.2. მტკიცებულებებზე დაფუძნებული მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის წარმოება;	2024	ახალგაზრდების, მათ შორის მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე, მოწყვლადი და უმცირესობათა წარმომადგენელი ახალგაზრდების, საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლა რეგულარულად	ჩატარებულია 1 კვლევა	ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ რეგულარულად ტარდება კვლევები და აღნიშნულის საფუძველზე ხდება სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის

		ხორციელდება.		მონიტორინგი, შეფასება და განახლება
6.3. ახალგაზრდული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა.	2024	დოკუმენტის შექმნაში მონაწილე ახალგაზრდების რაოდენობა	80 ახალგაზრდა	სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხთან დაკავშირებით ახალგაზრდების კმაყოფილების შესწავლა რეგულარულად ხორციელდება და მაღალია (70%)

<u>მუხლი 8. პრიორიტეტული სამიზნე ჯგუფები და გამჭოლი საკითხები</u>

1. მუნიციპალური ახალგაზრდული სტრატეგიის დოკუმენტი მოიაზრებს გამჭოლ, პრიორიტეტულ საკითხებს, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს ახალგაზრდული მუნიციპალური სტრატეგიის დოკუმენტით განსაზღვრული თითოეული მიზნისა და ამოცანის განხორციელების პროცესში. ადგილობრივი მთავრობა მხარს დაუჭერს ისეთი ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში ითვალისწინებს მოცემული საკითხების მხარდაჭერას და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას, კერძოდ:

ა. გენდერული სამართლიანობისა და თანასწორობის ხელშეწყობა.

ბ.მოწყვლადი ჯგუფების (სოციალური დაბრკოლებები, ეკონომიკური დაბრკოლებები, შეზღუდული შესაძლებლობები, საგანმანათლებლო სირთულეები, კულტურული განსახვავებულობები, ჯანმრთელობის პრობლემები, გეოგრაფიული დაბრკოლებები, ეთნიკური უმცირესობები (განსაკუთრებით ბოშათა თემის წარმომადგენელი ახალგაზრდები)) მხარდაჭერა და უსაფრთხო, თანასწორი, მშვიდობიანი და ინკლუზიური გარემოს შექმნა.